ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №8167233

ნომერი: AR11169446

თარიღი : 12.11.2026

გაცემის თარიღი : 20.11.2026

გაცნობის თარიღი : 20.11.2026

შედეგი : უარყოფა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი, არტურ ლაისტის ქუჩა, N 1ა;

დამკვეთი-განმცხადებელი

- დავით ბერულავა პ/ნ 01008015861
- თბილისი ი.ჭავჭავაძის გამზ. N 75 კორ. 3 ბ. 25

ნომენკლატურა :

- სამართლებრივი საკითხები
- ტექნიკური ხარვეზის გასწორება ადმინისტრაციულ - სამართლებრივ აქტში

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს 2026 წლის 12 ნოემბერს №AR11169446 განცხადებით მომართა დავით ბერულავამ და მოითხოვა სამსახურის 2026 წლის 31 აგვისტოს №8065264 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორება.
სამსახურმა, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96–ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად,

შეისწავლა საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომ სამსახურის 2026 წლის 31 აგვისტოს №8065264 ბრძანებით, №01.17.14.003.838 საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთზე, შეთანხმდა მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის კორექტირებული არქიტექტურული პროექტი და გაიცა მშენებლობის ნებართვა.

განმცხადებლის განმარტების თანახმად, სამსახურის 2026 წლის 31 აგვისტოს №8065264 ბრძანებაში დაშვებულია ტექნიკური შეცდომა, კერძოდ, შეთანხმებული პროექტის ფასადის ფერში RAL 7044 ის ნაცვლად დაფიქსირებულია RAL 7024. შესაბამისად, მოთხოვნილია აღნიშნული ტექნიკური შეცდომის გასწორება.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59-ე მუხლის თანახმად, ადმინისტრაციული ორგანო უფლებამოსილია მის მიერ გამოცემულ ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტში გაასწოროს ტექნიკური, აგრეთვე გამოთვლის დროს დაშვებული შეცდომები.

სამსახურმა დოკუმენტაციის გადამოწმების შედეგად დაადგინა, რომ სამსახურის 2026 წლის 31 აგვისტოს №8065264 ბრძანებით შეთანხმებულ საპროექტო დოკუმენტაციაში, ფასადის ფერთან დაკავშირებით ტექნიკური ხარვეზი არ ფიქსირდება.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სამსახური მოკლებულია მოთხოვნის დაკმაყოფილების და სამსახურის 2026 წლის 31 აგვისტოს №8065264 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორების შესაძლებლობას.

გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის.: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა №7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, აქტის ოფიციალური წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.